სამი ელექტრონული რესურსი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

ავტორი მარიამ გოდუაძე

ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება „ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებები მუდმივად უნდა იყოს დაცული და ყველა მუდმივად უნდა სცემდეს მათ პატივს“ (1.1)

„პატივისცემას გამოხატავს სხვა ადამიანების მიმართ და ექცევა მათ, როგორც თანასწორებს“ (5.27)

„გამოთქვამს სურვილსა და მზადყოფნას, ითანამშრომლოს და იმუშაოს სხვებთან ერთად“ (6. 33)

„შეუძლია, ამოიცნოს, როდის სჭირდება მის პარტნიორს მისი დახმარება“ (13. 76)

„შეუძლია ახსნას, თუ რატომ აქვთ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს განსხვავებული ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ნორმები და წესები, რომლებიც, მათი ხედვით, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია“ (19. 115)[1]

„ორენოვანი შრიფტის რედაქტორი“

აღნიშნული რესურსი შექმნილია სსსმ მოსწავლისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების, ასევე, ელემენტარული ენობრივი კომპეტენციების დაუფლების მიზნით.

მოსწავლის საჭიროებები: ენისა და მეტყველების დარღვევა, ფსიქოლოგიური ჩამორჩენა, დასწავლის უნარის დაქვეითება და ქცევითი აშლილობები. მიუხედავად მისი ასაკისა (13 წლის), მოსწავლე ვერ ფლობს მშობლიური ენის ანბანს და უჭირს სიხშირული ლექსიკის გამოყენება. არ შეუძლია ბაზისური საგნების სახელწოდებების დასახელება.

მოსწავლესთან მუშაობის პროცესი წარიმართება ესგ-ის მოდიფიცირებული ვერსიის ინდიკატორების მიხედვით **(ე.ს.გ.ის.ტექნ.დაწყ.2)**.:

- იგი აცნობიერებს ზოგიერთი ციფრული საშუალების დანიშნულებას;
- მეტ-ნაკლებად იაზრებს კლავიატურაზე კლავიშების განლაგებას, მათ ფუნქციებს და იყენებს კლავიატურას;
- ჩართავს და გამორთავს კომპიუტერს, როგორც ოპერაციულ სისტემას შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით, ასევე მოწყობილობის ჩართვა-გამორთვის ღილაკების საშუალებით. გაიაზრებს ამ ორ ხერხს შორის განსხვავებას;
- აცნობიერებს თაგვის ღილაკების ფუნქციებს და იყენებს თაგვს (მაგალითად: თაგვის კურსორის გადაადგილება სასურველ ადგილას, ობიექტის „გადათრევა“ თაგვის საშუალებით, დაწკაპება და ორმაგი დაწკაპება);
- ამოიცნობს ციფრული მოწყობილობის კომპონენტებს და გაიაზრებს მათ დანიშნულებას (მაგალითად: კლავიატურა, მონიტორი, ეკრანი, თაგვი).

სპეცმასწავლებლის, რომელიც ამავდროულად მუშაობს მოწაფესთან, როგორც ენისა და მეტყველების სპეციალისტი, მითითებების კვალდაკვალ მოწაფესთან სამუშაოდ გამოიკვეთა შემდეგი **მიზნები:**

1. **ქართული და ლათინური ანბანების/სიმბოლოების უკეთ გაცნობიერება და ერთმანეთთან დაკავშირება;**
2. **კლავიატურაზე მუშაობის უნარების განვითარება.**

გარემოს აკომოდაციის მიზნით სსსმ მოსწავლისთვის შეირჩა სპეციფიკური კლავიატურა, რომელზეც ლათინურ შრიფტთან ერთად დატანილი იყო ქართული ანბანიც.

ისტ პედაგოგის, გიორგი უგრეხელიძის მიერ Microsoft Word ტექსტურ რედაქტორში შეიქმნა ორსვეტიანი ცხრილი, რომლის პირველ სვეტში განთავსდა ლათინური ანბანი. თითო ლათინური სიმბოლოს გასწვრივ გოგონას უნდა შეეტანა შესაბამისი ქართული სიმბოლო და – პირიქით. ასე ის შეძლებდა კლავიატურაზე გამოსახული ლათინური შრიფტის დაუფლებას და ქართულთან დაკავშირებას.

გარდა ამისა, სპეცმასწავლებლის მეშვეობით მოსწავლის მშობელს გაეწია კონსულტირება მსგავს დავალებებზე შინ სამუშაოდ. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელმა გაუზიარა კლავიატურის ონლაინტრენერი https://www.typingclub.com.

აღნიშნული რესურსის მეშვეობით მოსწავლემ რამდენადმე შეძლო როგორც ქართული, ასევე ლათინური სიმბოლოების უკეთ გაცნობიერება და ერთმანეთთან დაკავშირება, ასევე აითვისა კლავიატურაზე მუშაობის უნარები.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლისთვის დაგეგმილი აქტივობები ხორციელდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლისა
და სპეცმასწავლებლის ინსტურქციების თანახმად, ასევე მეწყვილე თანაკლასელის დახმარებით. აღნიშნულ სამუშაო პროცესში ყურადღება ექცევა არტიკულაციას.

სსსმ მოსწავლემ ვიზუალურად აითვისა ქართული შრიფტის თითქმის ყველა ასო-ნიშანი, რაც მისი სააზროვნო უნარების კვალობაზე კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ ასოებს იგი იყენებს სხვადასხვა ტექსტის შედგენის დროს, ხოლო დანაკლისის შესავსებად საგაკვეთილო პროცესში მის გვერდით მუდმივად იმყოფება სპეცმასწავლებელი ან მეწყვილე თანაკლასელი.

ა	A
ბ	B
გ	G
დ	D
ე	e
ვ	v
ზ	Z
თ	T
ი	I
კ	K
ლ	L
მ	m
ნ	N
ო	O
პ	P
ჟ	J
რ	R

ს	S
ტ	T
უ	U
ფ	F
ქ	q
ღ	R
ყ	y
შ	S
ჩ	C
ც	c
ძ	z
წ	w
ჭ	W
ხ	x
ჯ	j
ჰ	h

წინამდებარე რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას მსგავსი ტიპის პრობლემის მქონე სხვა მოსწავლეებისთვისაც.

დასურათებული სალექსიკონო ტესტი

(სავარაუდო პასუხის დაწკაპებით შერჩევა)

აღნიშნული რესურსი შექმნილია სსსმ მოსწავლისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების, ასევე, ელემენტარული ენობრივი კომპეტენციების დაუფლების მიზნით.

სსსმ მოსწავლის საჭიროებები: გოგონას აღენიშნება მეოთხე ხარისხის სმენის დაქვეითება (სმენაჩლუნგობა) და თანმდევი კოგნიტური და ფსიქოლოგიური პრობლემები, ენისა და მეტყველების დარღვევა, დასწავლის უნარის დაქვეითება და მსუბუქი ქცევითი აშლილობები. სარგებლობს კოხლეარული იმპლანტით. არ იცის სრულყოფილად მშობლიური ენის ანბანი და უჭირს სიხშირული ლექსიკის გამოყენება. არ შეუძლია ბაზისური საგნების სახელწოდებების დასახელება.

მოსწავლესთან მუშაობის პროცესი წარიმართება ესგ-ის მოდიფიცირებული ვერსიის ინდიკატორების მიხედვით **(ე.ს.გ.ის.ტექნ.დაწყ.2)**.:

- იგი აცნობიერებს ზოგიერთი ციფრული საშუალების დანიშნულებას;
- იაზრებს კლავიატურაზე კლავიშების განლაგებას, მათ ფუნქციებს და ეფექტიანად იყენებს კლავიატურას;
- ჩართავს და გამორთავს კომპიუტერს, როგორც ოპერაციულ სისტემას შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით, ასევე მოწყობილობის ჩართვა-გამორთვის ღილაკების საშუალებით. გაიაზრებს ამ ორ ხერხს შორის განსხვავებას;
- აცნობიერებს თაგვის ღილაკების ფუნქციებს და ეფექტიანად იყენებს თაგვს (მაგალითად: თაგვის კურსორის გადაადგილება სასურველ ადგილას, ობიექტის „გადათრევა“ თაგვის საშუალებით, დაწკაპება და ორმაგი დაწკაპება);
- ამოიცნობს ციფრული მოწყობილობის კომპონენტებს და გაიაზრებს მათ დანიშნულებას (მაგალითად: კლავიატურა, მონიტორი, ეკრანი, თაგვი).

სპეცმასწავლებლის მითითებების კვალდაკვალ სამუშაოდ გამოიკვეთა
შემდეგი **მიზნები:**

1. **ქართული ანბანური სიმბოლოების უკეთ გაცნობიერება და ერთმანეთთან დაკავშირება;**
2. **ანბანის რიგზე დალაგებული, წინასწარ შერჩეული ქართული ანბანური მასალის, კონკრეტულად კი არსებითი სახელების მისადაგება შესაბამის ვიზუალურ მასალასთან.**

iSpring suite 8.0-პროგრამის მეშვეობით, ისტ პედაგოგის, გიორგი უგრეხელიძის მიერ შეიქმნა პრეზენტაცია-ტესტი. მოდელად შერჩეულ იქნა მაკმილანის (Macmillan English Books) სახელმძღვანელოების ელექტრონული მხარდაჭერის პროგრამული რესურსი, რომლითაც მოსწავლეს შეუძლია დაათვალიეროს ერთ ასო-ნიშანზე ერთი კონკრეტული გამოსახულება და შეამოწმოს, რამდენად სწორად ამოიცნო ისინი ტექსტის სახით მოცემული ოთხი სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთის შერჩევით.

მეთოდი იძლევა საშუალებას, ცალ-ცალკე დასწავლილი ანბანის სიმბოლოები მოსწავლემ აღიქვას სიტყვებად, ასევე სწორად დაუკავშიროს რომელიმე კონკრეტული არსებითი სახელი ვიზუალურ ხატს. აღნიშნულ სამუშაო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლის არტიკულაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული აქტივობა მოსწავლისათვის აღმოჩნდა დამატებითი მოტივატორი, რომლითაც იგი საგაკვეთილო პროცესში დიდი სიხარულით ჩაერთო. თანაკლასელებისა თუ სპეცმასწავლებლის დახმარებით მოსწავლემ შეძლო 33 ასო-ნიშანზე შედგენილი 33 ტესტური დავალების წარმატებით შესრულება. თითო ასო-ნიშანზე მას უხდებოდა ოთხი არსებითი სახელის გააზრება, გამოცნობა თუ დასწავლა, რამაც მნიშვნელოვანწილად გაამდიდრა მისი ლექსიკური მარაგის დონე.

რესურსის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ ლინკზე (ჩამოტვირთეთ ფოლდერი და შემდეგ გახსენით ფაილი: index.html)

https://drive.google.com/open?id=156XMpBJz28-4Ssr6oBmI0frNohvDdVN_

მოცემული რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას მსგავსი ან ანალოგიური პრობლემის მქონე, ასევე ტიპური განვითარების დაწყებითი (1-ელი კლასი) სასკოლო ასაკის ან ქართულის, როგორც მეორე ენის მოსწავლეებთან მუშაობისთვის.

დასურათებული სალექსიკონო ტესტი

(მართებული პასუხის კლავიატურაზე აკრეფა)

ქართული ენის ლექსიკის ათვისების საწყის ეტაპზე მყოფ მოწაფესთან მუშაობისთვის გამოიკვეთა შემდეგი **მიზნები:**

1. **ქართული ანბანური სიმბოლოების უკეთ გაცნობიერება და ერთმანეთთან დაკავშირება;**
2. **ანბანის რიგზე დალაგებული, წინასწარ შერჩეული ქართული ანბანური მასალის, კონკრეტულად კი არსებითი სახელების მისადაგება შესაბამის ვიზუალურ მასალასთან.**
3. **მართებული პასუხის გამოცნობა და საგანთან არსებითი სახელის წერილობით დაკავშირება.**

iSpring suite 8.0-პროგრამის მეშვეობით ისტ-ის პედაგოგის (გიორგი უგრეხელიძის) მიერ შეიქმნა პრეზენტაცია-ტესტი. სპეცმასწავლებლის მითითებით მოდელად შეირჩა მაკმილანის სახელმძღვანელოების (Macmillan English Books) ელექტრონული მხარდაჭერის პროგრამული რესურსი, რომლითაც მოსწავლეს შეუძლია დაათვალიეროს ერთ ასო-ნიშანზე ერთი კონკრეტული გამოსახულება და შეძლოს, აღნიშნული საგნისთვის მართებული არსებითი სახელის აკრეფა. ეს იძლევა საშუალებას, ცალ-ცალკე დასწავლილი ანბანის სიმბოლოები აღიქვას სიტყვებად, ასევე სწორად დაუკავშიროს რომელიმე კონკრეტული არსებითი სახელი ვიზუალურ ხატს, განუვითარდეს კოდირების და დეკოდირების, ასევე საბაზისო წერითი უნარები. აღნიშნული სამუშაო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლის არტიკულაციის განვითარებას.

ელექტროტესტური სავარჯიშოები მოსწავლისათვის სახალისო და მამოტივირებელია. იგი საგაკვეთილო პროცესში დიდი სიხარულით ჩაერთო. თანაკლასელებისა თუ სპეცმასწავლებლის დახმარებით მოსწავლემ შეძლო 33 ასო-ნიშანზე შედგენილი 33 ტესტური დავალების წარმატებით შესრულება. თითო ასონიშანზე მას უხდებოდა ხშირად გამოყენებითი არსებითი სახელების გააზრება, გამოცნობა და ვიზუალურ ხატებთან სახელების წერილობით დაკავშირება. თამაშით და სიამოვნებით დასწავლის ამგვარმა მეთოდებმა მნიშვნელოვანწილად გაამდიდრა მისი ლექსიკური მარაგის დონე.

რესურსის ნახვა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ ლინკზე (ჩამოტვირთეთ ფოლდერი და შემდეგ გახსენით ფაილი: index.html)
https://drive.google.com/open?id=1yv1KlX6_ItjmgIe3AgWouwj3lUIxqX28

მოცემული რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ ენობრივი პრობლემის მქონე ან ტიპური განვითარების დაწყებითი (1-ელი კლასი) სასკოლო ასაკის, ასევე ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელებთან მუშაობისთვის.

[1] დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დესკრიპტორები, 2018, ტ. II.